

შპს ინფრაკონი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
7. გადახდილი ავანსები	10
8. ძირითადი საშუალებები	11
9. სავაჭრო ვალდებულებები	11
10. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	12
11. მიღებული ავანსები	12
12. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	12
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
14. ხელფასები და სხვა სარგებელი	13
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22	31-12-21
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	202,661	296,013	297,810
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,521,024	1,088,558	961,430
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	1,591,159	606,556	106,580
გადახდილი ავანსები	7	197,387	390,057	43,385
სხვა მიმდინარე აქტივები		19,145	19,145	1,505
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,531,376	2,400,329	1,410,710
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	3,981,444	2,882,040	135,189
არამატერიალური აქტივები		156,135	0	0
სულ გრძელევადიანი აქტივები		4,137,579	2,882,040	135,189
სულ აქტივები		7,668,955	5,282,369	1,545,899
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,734,857	1,055,659	222,469
საგადასახადო ვალდებულებები		0	265,822	76,902
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	10	592,634	762,129	-
მიღებული ავანსები	11	4,125,265	689,689	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,452,756	2,773,299	299,371
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		91677	47,927	41,587
გაუნაწილებელი მოგება		1,124,522	2,461,143	1,204,941
სულ საკუთარი კაპიტალი		1,216,199	2,509,070	1,246,528
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,668,955	5,282,369	1,545,899

დირექტორი ----- სოფიო ახვლედიანი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	12	17499143	12,271,622
თვითღირებულების ხარჯი	12	(14696711)	(9,535,561)
საერთო მოგება		2,802,432	2,736,061
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(670,705)	(398,850)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(373,766)	(688,692)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	8	(181,179)	(301,712)
იჯარის ხარჯი		(29,581)	0
სხვა შემოსავლები		4,428	50,576
სხვა ხარჯები		0	(118,062)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,551,629	1,279,321
საპროცენტო ხარჯი		(74,628)	(19,687)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(44,811)	(3,432)
მოგება დაბეგვრამდე		1,432,190	1,256,202
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,432,190	1,256,202

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	41,587	1,204,941	1,246,528
წმინდა მოგება	-	1,256,202	1,256,202
საწესდებო კაპიტალის ზრდა	6,340	-	6,340
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	47,927	2,461,143	2,509,070
წმინდა მოგება	-	1,432,190	1,432,190
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,725,061)	-	(2,725,061)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	(2,677,134)	3,893,333	1,216,199

დირექტორი ----- სოფიო ახვლედიანი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინფრაკონი დაფუძნდა 2018 წლის 21 მარტს. კომპანიის მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა #65, ბინა #32, შენობა #2 (ბლოკი B). კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405259660.

კომპანიის ერთპიროვნულ მეწილეს წარმოადგენს სოფიო ახვლედიანი (პ/ნ: 01031004383).

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს სოფიო ახვლედიანი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, ასევე სხვადასხვა სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტები.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	30
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება

იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს სალაროში.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	158,813	252,165
ფულადი სახსრები სალაროში	43,848	43,848
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	202,661	296,013

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება სხვადასხვა ტიპის სამშენებლო მომსახურების გაწევას.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

მოთხოვნები	31-12-23	31-12-22
მოთხოვნები სამშენებლო მომსახურებიდან	473,628	793,294
მოთხოვნები დაკავებული ხარისხის გარანტიიდან	1,047,396	295,264
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,521,024	1,088,558

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია ნედლეულად და მასალებად და სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგებად.

მათი ნაშთები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-23	31-12-22
ნედლეული და მასალები	1,590,188	596,091
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	971	10,465
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,591,159	606,556

7. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები ძირითადად შედგება სამშენებლო კონტრაგენტებთან წარმოქმნილი ავანსებისაგან.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-23	31-12-22
სამშენებლო კონტრაგენტებთან წარმოქმნილი ავანსები	112,451	312,760
სხვა ავანსები	84,936	77,297
სულ გადახდილი ავანსები	197,387	390,057

8. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,754,947 ლარს. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სამშენებლო ტექნიკა, ბეტონის ქარხანები. ცვეთის ხარჯმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 773,503 ლარი.

ძირითადი საშუალებები 2023 წელი

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
სულ	3,198,850	1,556,097	4,754,947

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სულ	316,810.00	456,693.00	773,503.00

ძირითადი საშუალებები 2022 წელი

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
სულ	150,287	3,048,563	3,198,850

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
სულ	15,098	301,712	316,810

9. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოშობილია სამშენებლო კონტრაგენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებებისაგან.

მათი ბალანსები 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
სამშენებლო კონტრაგენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,734,857	984,187
სხვა ვალდებულებები	0	71,472
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,734,857	1,055,659

10. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები წარმოშობილია 2023 წელს და დაკავშირებულია მისი ძირითადი საქმიანობისათვის განკუთვნილი სამშენებლო ტექნიკის შესყიდვებთან.

11. მიღებული ავანსები

კომპანიას 2023 წელს წარმოეშვა მიღებული ავანსები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სამშენებლო მომსახურების გაწევასთან.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, ასევე სხვადასხვა სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტები

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი	17,499,143	12,271,622
შემოსავლები სამშენებლო მომსახურების გაწევიდან	17,499,143	12,271,622
თვითღირებულება, საიდანაც:	(14,696,711)	(9,535,561)
მშენებლობის თვითღირებულების ხარჯი	(14,696,711)	(9,535,561)
საერთო მოგება	2,802,432	2,736,061

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
სატენდერო ხარჯები	0	106,446
რემონტისა და შენახვის ხარჯი	9,382	94,174
იჯარის ხარჯი	29,581	35,584
საწვავის ხარჯი	9,941	32,231

იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	11,511	29,250
კომუნალური ხარჯი	3,508	6,403
საბანკო მომსახურების ხარჯი	6,812	5,942
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	1,031.4	5,672
საოფისე ინვენტარის ხარჯი	2,935	2,167
კომპიუტერის ხარჯები	99	1,274
საკანცელარიო ხარჯი	1,971	816
დაცვის მომსახურების ხარჯი	712	712
დაზღვევის ხარჯი	24,882	552
საკომუნიკაციო ხარჯები	0	180
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	971,687	77,447
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,074,052	398,850

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	373,766	366,792
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	0	321,900
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	373,766	688,692

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 373,766 ლარი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში 366,792 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.